

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №2

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

08. 02.2022 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -**ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ჩიკვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ტოხვაძე, გრიგოლ მატარაძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი- **კობა მაღლაკელიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-**ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

სხდომა 14-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2022 წლის 8 თებერვლის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1. „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

მომხს: დავით ხარძეიშვილი

2. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: გიორგი ივანიაძე

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.“

მომხს: ზაზა ოჩხიკიძე

4.,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;“

მომხს: გელა ჩიკვაძე

5.,,ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა.“

მომხს. ვანდა გორგაძე

6.,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიში, 2021 წლის პერიოდში საკრებულოს აპარატში არსებული მდგომარეობისა და აპარატის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.“

მომხს. კობა მაღლაკელიძე

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2022 წლის 8 თებერვლის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით ხარძიევილმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პირობების , პროცედურების კოორდინაციას საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. პროგრამის მიზანია ბავშვების უფლებების დაცვა და მხარდაჭერა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების უზრუნველყოფა მატერიალური და არამატერიალური (სოციალური, იურიდიული,სამედიცინო, ფსიქოლოგიური, საგანმანათლებლო და სხვა)დახმარების გზით. დაფინანსების წყაროა ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. პროგრამა ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 9 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ N 27 დადგენილებაში ტექნიკური შეცდომის გამო მოვიდა შენიშვნა. კერძოდ, პრეამბულაში გამოტოვებული იყო სიტყვა „ორგანული კანონი“ და ამ შენიშვნის საფუძველზე ჩასწორდა დადგენილების პრეამბულა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 9 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზაზა ოჩხიკიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფასი იგივე დარჩა რაც წინა წელს იყო. ამის შესაბამისად დადგენილებაში ცვლილება არ შედის.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 9 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რომ ადრე დეპუტატების ხარჯების ანაზღაურება ხდებოდა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, ახლა შეიცვალა და ხარჯების ანაზღაურება მოხდება განკარგულების საფუძველზე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 9 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაცია.“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 2021 წლის 27 იანვარს ვანის მუნიციპალიტეტის მერის N20 43 ბრძანებით და განისაზღვრა 5 509 828 ლარით. 2021 წლის განმავლობაში გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად 2021 წლის 28 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 10 061 248 ლარი. მათ შორის: საკუთარი სახსრებიდან შემოსულობები 1 212 580 ლარი; საქართველოს მთავრობის N13 განკარგულებით 10 221 ლარი; N27 განკარგულებით 33 452 ლარი; N45 განკარგულებით- 1 485 ლარი; N 147 განკარგულებით 308 686 ლარი; N 168 განკარგულებით 570 000 ლარი; N330 განკარგულებით 380 000 ლარი; N347 განკარგულებით 2 908 ლარი; N 557 განკარგულებით 2 233 ლარი, N 725 განკარგულებით 57 369 ლარი; N 1409 განკარგულებით 9 757 ლარი; N 1419 განკარგულებით 1 686 115 ლარი; N 1573 განკარგულებით 5 548 ლარი; N 2367 განკარგულებით 300 ლარი; N2630 განკარგულებით 265 473 ლარი; N 2685 განკარგულებით 5 351 928 ლარი. N 2712 განკარგულებით 51 919 ლარი; N 136 განკარგულებით 85 821 ლარი; N 2752 განკარგულებით 25 453 ლარი;.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული „ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაცია.“

(დანართი N2)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კობა მალლაკელიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიში, 2021 წლის

პერიოდში საკრებულოს აპარატში არსებული მდგომარეობისა და აპარატის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.“

მომხსენებელმა ისაუბრა საკრებულოს აპარატის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ და აღნიშნა, რომ საკრებულოს აპარატის თანამშრომლები თავიანთ თანამდებობის მოვალეობებს ასრულებენ კარგად და საუკეთესოდაც, რაც ასახულია მათი ეტაპობრივი პროფესიული შეფასებების დოკუმენტებში. საკრებულოს აპარატის უფროსს მიაჩნია, რომ აპარატის თანამშრომლების მიერ 2021 წლის პერიოდში გაწეული მუშაობა ჩაითვალოს დადებითად.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიში, 2021 წლის პერიოდში საკრებულოს აპარატში არსებული მდგომარეობისა და აპარატის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.“

(დანართი N3)

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2022 წლის 9 თებერვლის სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს 9 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი.

(დანართი N4)

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე